წმინდა ამბროსი მედიოლანელი და მისი წვლილი ღვთისმშობლის მარადქალწულობის შესახებ საეკლესიო სწავლების ჩამოყალიბებაში

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, წმინდანთა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის მოხსენება VII საერთაშორისო პატრისტიკულ კონფერენციაზე: „წმინდა მღვდელთმთავარი ამბროსი მედიოლანელი და მისი საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა“ – 2021 წლის 30 სექტემბერს.

შესავალი

წმინდანთა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის მიმდინარე VII საერთაშორისო პატრისტიკული კონფერენცია ეძღვნება მედიოლანის

ეპისკოპოს წნინდა მღვდელთმთავარ ამბროსის (დაახ. 339-397) საღვთისმეტყველო მემკვიდრეობას. სრული უფლებით შეიძლება მას ვუწოდოთ მსოფლიო ეკლესიის ერთ-ერთი დიდი მამა და მოძღვარი. მისი სახელი ნეტარ იერონიმესთან, ნეტარ ავგუსტინესთან და წმ. რომის პაპ გრიგოლ დიოლოგოსთან ერთად შემდგომში შევიდა დასავლეთის ეკლესიის ოთხ დიდ მოძღვართა რიცხვში (magni doctores ecclesiae) [1], თუმცა ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც მას პატივს მიაგებდნენ სამი „დიდი მოძღვრისა და მნათობის გვერდით", ესენია: წმ. ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი.

მართლაც, წმინდა ამბროსის დამსახურება ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებაში, იმპერიის წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის ეპოქაში, ძალიან დიდია და მისი წვლილი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია. ის იყო არა მხოლოდ ბრძენი ქრისტიანი მწყემსი, რომელიც ასწავლიდა თავის სამწყსოს როგორც მქადაგებლის ზეშთაგონებული სიტყვით, ისე პირადი მაგალითით; და იყო არა მხოლოდ თავისი დროის გავლენიანი საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც არ ეშინოდა დაეცვა მართლმადიდებლური სარწმუნოება მრავალი ერეტიკოსისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე, არამედ, ასევე, ბრწყინვალე ღვთისმეტყველი, აღმსარებელი და ქრისტიანული ზნეობის მასწავლებელი.

წმინდა ამბროსის მდიდარი ლიტერატურული და საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა მოიცავს არანაკლებ 40 დოგმატური, ეგზეგეტიკური და ზნეობრივ-ასკეტიკური ხასიათის ნაწარმოებს, ასევე მრავალ წერილს, საღვთისმსახურო ჰიმნსა და ეპიგრამას. თავის ღვთისმეტყველებაში მილანელი მღვდელთმთავარი ბრძნულად აერთიანებს, ერთი მხრივ, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლეთ ქრისტიანული აზროვნების საუკეთესო მიღწევებს და, მეორე მხრივ, დოგმატურ-თეორიულ ელემენტებს – ზნეობრივ-პრაქტიკულ ელემენტებთან. ბერძნული ენისა და ანტიკური კულტურის ბრწყინვალე ცოდნამ წმინდა ამბროსის პირდაპირი წვდომა მისცა ბერძენი მამებისა და ეკლესიის მოძღვრების უმდიდრეს სასულიერო მემკვიდრეობაზე, აგრეთვე ქრისტიანული ტრადიციისათვის მნიშვნელოვანი ებრაელი ავტორების – იოსებ ფლავიუსისა და ფილონ ალექსანდრიელის ნაწარმოებებზე.

დასავლეთის ეკლესიისთვის წმინდა ამბროსი გახდა ღმერთისა და ყოვლადწმიდა სამების, ადამიანისა და ქრისტეში მისი ხსნის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამტარებელი. მან ასევე შეუწყო ხელი დასავლელ ღვთისმეტყველთა შორის წმინდა წერილის განმარტების ალეგორიული მეთოდის გავრცელებას, რომელიც შემუშავებულია ალექსანდრიის ეგზეგეტიკურ სკოლაში, მაგრამ წმ. ბასილი დიდის მიერ წმინდა წერილის ალეგორიზაციისადმი ფხიზელი მიდგომითაა დაბალანსებული. წმ. ჰილარი პიქტავიელთან, ევსები ვერცელელთან და წმ. პაპ დამასთან ერთად, წმინდა ამბროსი იყო ნიკეის კრებისა და ერთარსების შესახებ სწავლების ერთ-ერთი მთავარი დამცველი დასავლეთში არიანული ერესის წინაშე. მისმა სწავლებამ ქალწულობის სათნოებისა და ღვთისმშობლის მარადისქალწულობის დაცვის შესახებ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საეკლესიო დოქტრინისა და ქრისტიანული ასკეტიზმის ჩამოყალიბებაში, რის შესახებაც დღეს უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ.

ამავე დროს, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ წმინდა ამბროსიმ თავისი შრომებით ხელი შეუწყო ზოგიერთი საღვთისმეტყველი განსაკუთრებულობის ფორმულირებას, რომლებიც დამახასიათებელია დასავლური ქრისტიანობისთვის აღმოსავლურისგან განსხვავებით. სხვა საკითხებს შორის, შეიძლება დავასახელოთ მისი ორმაგი პოზიცია სულიწმიდის გამოსვლის საკითხთან დაკავშირებით, სწავლება ადამის „ნეტარი დანაშაულის" შესახებ, იურიდიული წარმოდგენა „მემკვიდრეობით ცოდვაზე" და

ზოგიერთი სხვა საკამათო თემა, რომლებიც ჯერაც განიხილება საეკლესიათაშორისო დიალოგის ფორმატში. მიუხედავად ყოველივე ამისა, მართლმადიდებელ ეკლესიაში წმინდა ამბროსის თაყვანისცემა, რომელსაც დასაბამი დაედო ბიზანტიაში მე–9 საუკუნეში, ძველებურად უცვლელი რჩება [2], ხოლო ჰიმნი, რომელიც მას მიეწერება – „შენ გადიდებთ ღმერთო“ (haereditarium peccatum) [3], დღემდე გამოიყენება მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში.

გამოსვლის პირველ ნაწილში ჩვენ შევჩერდებით წმინდა ამბროსის ბიოგრაფიის ცალკეულ მნიშვნელოვან მომენტებზე, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიის წინამძღვრად და ღვთისმეტყველად მის ჩამოყალიბებასთან, მეორე ნაწილში კი განვიხილავთ მის წვლილს ღვთისმშობლის მარადისქალწულობის შესახებ საეკლესიო მოძღვრების ჩამოყალიბებაში

წმინდა ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა: მოკლე მიმოხილვა

წმინდა მღვდელთმთავარი ამბროსი დაიბადა დაახ. 339 წ. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ავგუსტა ტრევეროვის გუბერნატორის ოჯახში (თანამედროვე ტრიერი დასავლეთ გერმანიაში). მიუხედავად იმისა, რომ ამბროსის დედა ეკუთვნოდა აურელიას (gens Aurelia) კეთილშობილურ რომაულ ოჯახს, არსებობს ვარაუდი მის ბერძნულ ფესვებზე, ვინაიდან მისი საკუთარი სახელი, ისევე როგორც მისი მამისა (რომელსაც ასევე ამბროსი ერქვა) და ძმისა (სატირი) – ბერძნული იყო, რაც რომაელი პატრიციებისთვის არ იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა, ეკლესიის მომავალი მწყემსის ოჯახს ჰქონდა დიდი ხნის ქრისტიანული ტრადიციები: მისი ნათესავი იყო წმ. ქალწული სოტირია, რომელიც დიოკლეტიანეს დევნის პერიოდში მოწამეობრივად აღესრულა [4].

340 წელს, მამის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ძალიან ახალგაზრდა ამბროსი დედასთან, დასთან და ძმასთან ერთად რომში წავიდა, სადაც მოგვიანებით კლასიკური ბერძნულ-რომაული განათლება მიიღო საუკეთესო მასწავლებლებისგან. არსებობს ცნობა, რომ რომში ყოფნისას, წმინდა ათანასე დიდი ზოგჯერ სტუმრობდა ღვთისმოსავი ქრისტიანების სახლს, სადაც ამბროსი – მაშინ ათი წლის ბიჭი – ცხოვრობდა (LThK).

იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ამბროსიმ 365 წელს მიიღო ადვოკატის თანამდებობა ილირიკში ქალაქ სირმის (თანამედროვე სრემსკა მიტროვიცა სერბეთში) პრეტორიის სასამართლო პრეფექტურაში. შემდეგ კი 370 წელს გახდა ქალაქ მედიოლანის (თანამედროვე მილანი) გუბერნატორი, სადაც იმ დროს იმპერატორის კარი მდებარეობდა. უნდა ითქვას, რომ ქალაქები მედიოლანი, ტრიერი და სირმა იყო იმპერიის „მეორე დედაქალაქები“ ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში, რომლებიც შეიქმნა იმპერიის შორეული ოლქების უკეთ მართვისა და დაცვისათვის, რომი კი სახელმწიფოს სულიერი ცენტრად რჩებოდა. ამრიგად, წმინდა ამბროსის მოღვაწეობა მისი საერო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერატორის კართან.

374 წელს გარდაიცვალა ქალაქ მედიოლანის ეპისკოპოსი ავქსეტიუსი. შემდეგი ეპისკოპოსის არჩევისას დაპირისპირება წარმოიშვა ორი მტრული საეკლესიო პარტიის ნიკეისეულისა და არიანელობის

მიმდევრებს შორის. ამასთან დაკავშირებით, გუბერნატორი ამბროსი მივიდა ქალაქის მთავარ ბაზილიკაში, სადაც საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა, რათა თავიდან აეცილებინა შეტაკებები და არეულობები. ისტორიკოს რუფინუს აკვილელის თქმით, „როდესაც ამბროსიმ დაინახა, რომ ქალაქი განადგურების საფრთხის წინაშე დადგა, თავისი მდგომარეობისა და თანამდებობის შესაბამისად, – სურდა რა ხალხში უთანხმოება აღმოეფხვრა, – დაუყოვნებლივ ეკლესიაში წავიდა. იგი იქ ბევრს ლაპარაკობდა კანონთან და ეროვნულ ტრადიციასთან შესაბამისობაზე სიწყნარისა და სიმშვიდის დასამყარებლად. მაშინ მოულოდნელად გაისმა ერთმანეთს შორის დაპირისპირებული და მოკამათე ხალხის ერთიანი მოყიჟინე ხმა. ხალხს ეწადა ამბროსი ეპისკოპოსად ეხილა და იერარქიისგან მის დაყოვნებლივ მონათვლას (ის მხოლოდ კათაკმეველი იყო) და ეპისკოპოსად დადგინებას ითხოვდა: ხალხი მხოლოდ მაშინ იქნება ერთიანი და ერთი რწმენის, თუ მას მღვდლად ამბროსის დაუდგენენ“ [5].

ამ მოვლენების სხვა ვერსიის თანახმად, რომელიც წმინდანის „ცხოვრებაშია“ გადმოცემული, როდესაც ამბროსი ამბიონზე ავიდა და სიტყვა აიღო მოდავე მხარეების დასამშვიდებლად, მოულოდნელად ბავშვის ხმა გაისმა: „ამბროსი ეპისკოპოსად!", რომელიც აიტაცეს ორივე დაპირისპირებული პარტიის წარმომადგენლებმა და ერთხმად დაუჭირეს მხარი მედიოლანის ახალ ეპისკოპოსად ამბროსის კურთხევას [6].

მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება იმპერატორმა ვალენტინიანე I-მა დაამტკიცა, ამბროსის სხვა არჩევანი აღარ დარჩა, გარდა დათანხმებისა. მალე იგი მონათლა ვერცელის მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ლიმენიუსმა და გაიარა რა შვიდ დღეში ყველა საეკლესიო წოდება, მერვე დღეს იგი ხელთდასხმულ იქნა მედიოლანის ეპისკოპოსად [7]. დაიწყო მისი ხანგრძლივი საეპისკოპოსო მსახურება, რომელიც 23 წელზე მეტხანს გაგრძელდა.

თავის ნაწერებში წმინდა ამბროსი რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ საეპისკოპოსო მსახურებაზე მოულოდნელმა მოწოდებამ იგი მოწაფედ აქცია იმ მომენტში, როდესაც ის უკვე თავისი სამწყსოს მასწავლებელი უნდა გამხდარიყო [8]. ის ჩაუღრმავდა ისეთი ბერძენი მწერლებისა და ღვთისმეტყველების წიგნებს, როგორებიცაა – ფილონი, ორიგენე, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, დიდიმე ბრმა და სხვა ავტორები. წმინდა ამბროსის მიმოწერა ჰქონდა წმინდა ბასილი დიდთან: შემორჩენილია წმ. ბასილი დიდის წერილი (Ep. 197), სადაც ის იწონებს ამბროსის შედგომას საეკლესიო მსახურების ასპარეზზე და მას მეგობრულ რჩევებს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვაქვს სხვა წერილების არსებობის მტკიცებულება, – როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, – ორ წმინდანს შორის დამყარებული მეგობრული კავშირები გაგრძელდა, რასაც ნათლად მოწმობს წმ. ბასილი დიდის ციტატების სიმრავლე წმინდა ამბროსის თხზულებებში. გარდა ამისა, მილანის წმინდანმა ახლო ურთიერთობა დაამყარა მილანის პრესვიტერ სიმპლიციანთან, ვისი შუამავლობითაც მოხდა ამბროსის გაცნობა ავგუსტინესთან, როდესაც ის მილანში რიტორიკის შესასწავლად ჩავიდა.

„აღსარებაში" ავგუსტინე შთაგონებულ გვერდებს უძღვნის ამბროსის, რაც გვეხმარება მედიოლანელი წმინდა მღვდელთმთავრის სულიერი სახის აღდგენაში. ავგუსტინე ასე გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მასზე ამბროსის ქადაგებებმა მოახდინა:

”მე ასევე მახარებდა, რომ შემოთავაზებული იყო ძველი აღთქმის წიგნების წაკითხვა სხვა თვალით ... მე

სიამოვნებით ვუსმენდი, როგორ ხშირად იმეორებდა ამბროსი მრევლისადმი თავის ქადაგებაში და გულითადად ურჩევდა, როგორც წესს: „ასო კლავს, სული კი განაცხოველებს” [9].

ნეტარი ავგუსტინეს მთავარი შთაბეჭდილება იყო წმინდა ამბროსის მიქცევა წმინდა წერილის სულიერი შინაარსისკენ, რომლის შესწავლისას იგი „საიდუმლო საფარველს ხდიდა“ ძველი აღთქმის მრავალ რთულ ადგილს [10]. საეპისკოპოსო მსახურების პირველ წლებში წმინდა ამბროსი წერდა ეგზეგეტიკურ თხზულებათა მთელ სერიას – „სამოთხეზე", "კაენსა და აბელზე", „ნოესა და კიდობანზე", „ქალწულებზე“, „ქვრივობაზე“, „ტობითზე“”და სხვ.

ისტორიული მტკიცებულებების თანახმად, მილანელი წმინდანის ერთ-ერთი პირველი დოგმატური ნაშრომი, რომელიც მიმართული იყო არიანელობის წინააღმდეგ ნიკეის კრებისა და ერთარსის შესახებ სწავლების დასაცავად, იყო ტრაქტატი „რწმენის შესახებ“ (378-381 წწ. ხუთწიგნეული), რომელიც მან იმპერატორ გრაციანეს თხოვნით დაწერა. ამის შემდეგ წმინდა მღვდელთმთავარმა გამოაქვეყნა კიდევ ორი დოგმატური ტრაქტატი „სულიწმიდის შესახებ“ (381) და „უფლის განხორციელების საიდუმლოს შესახებ" (382), რომლებიც შეიცავს პოლემიკებს არიანელობასა და აპოლინარიანობასთან. 381 წლის სექტემბერში, მალევე კონსტანტინეპოლში მეორე საეკლესიო კრების დასრულების შემდეგ, წმინდა ამბროსის თავმჯდომარეობით აკვილეში მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთში არიანელობისა და „ნახევრად არიანელობის" („ომიანიზმი") გავლენების შეზღუდვას. ამ კრებაზე შეთავაზებულ იქნა, ასევე, ერეტიკოსთა სახელმწიფო დევნის ორგანიზება. 382 წელს იმპერატორმა გრაციანემ ბრძანა, რომის სენატიდან გაეტანათ გამარჯვების წარმართული ქალღმერთის ვიქტორიას (ნიკე) სამსხვერპლო და კანონმდებლობიდან ამოეღოთ წარმართი ქურუმებისთვის დადგენილი ზოგიერთი პრივილეგია. ამაში, ცხადია, დიდი დამსახურება მიუძღვის მილანის წმინდა მღვდელთმთავარს.

იმპერატორ გრაციანეს გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ რომის იმპერიის ფაქტიური მმართველი 383-388 წლებში გახდა მისი მცირეწლოვანი ძმის, ვალენტინიანე II-ის დედა, მკაცრი იმპერატრიცა იუსტინა. მის კარზე, მისი მფარველობის ქვეშ, არცთუ ცოტა არიანელი მღვდელი და დიდგვაროვანი ირეოდა. ამიტომ სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ მალე ღია კონფლიქტი წარმოიშვა წმინდა ამბროსსა და იმპერატრიცას შორის. 385 წლის აღდგომის წინ იუსტინამ არიანელებისთვის მილანის შემოგარენში მდებარე ბაზილიკის გადაცემა ბრძანა (Basilica Portiana). 386 წლის იანვარში, იმპერატრიცა იუსტინას ზეწოლით გამოიცა ედიქტი, რომელშიც იმპერიის დასავლეთ ნაწილში „ომიისური“ ღვთისმსახურების უფლების იურიდიული საფუძველი იყო მოცემული. ამ ედიქტის მიხედვით იუსტინამ უკვე 386 წლის აღდგომისათვის მოითხოვა არიანელებისთვის უფრო შესაფერისი ბაზილიკის გამოყოფა მილანის ქალაქის კედლებში. მაგრამ წმინდა ამბროსიმ კატეგორიული უარი თქვა ქალაქის ტაძრების არიანული ღვთისმსახურებისათვის გადაცემაზე. თავისი პოზიციის არგუმენტად იგი იმოწმებდა სახარებისეული მონეტის ამბავს (მთ. 22:21): თუკი ღმერთს უნდა მიეცეს ღმრთისა, ხოლო კეისარს – კეისრისა, მაშინ ეს ნიშნავს რომ „იმპერატორს ეკუთვნის სასახლეები, მღვდელსმსახურებს კი – ეკლესიები.

სხვა წერილში, წმინდანი თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებს: როგორც დინარზე არის იმპერატორის გამოსახულება და ამიტომ მონეტა მას ეკუთვნის, ასევე ეკლესიაში ვხედავთ ძე ღვთისას გამოსახულებას, რომელმაც მამის ხატი გამოგვიჩინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვხედავთ ღმერთის გამოსახულებას და ამგვარად ეკლესია მხოლოდ მას ეკუთვნის. ასე გაუსვა ხაზი წმინდა მღვდელთმთავარმა არიანელებსა და ნიკიელებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებას: ქრისტე არის

ჭეშმარიტი ძე ღვთისა და ჭეშმარიტი ღმერთი.

386 წელს იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლის დღესასწაულზე იმპერატრიცა იუსტინამ ჯარისკაცები გაგზავნა მილანის ბაზილიკის ძალით დასაპყრობად, მაგრამ წმინდა ამბროსი მორწმუნეებთან ერთად შიგნიდან ჩაიკეტა და გალობითა და ლოცვით მთელი ვნების კვირეულის განმავლობაში იცავდა თავისი სამრევლოს უფლებას ამ ტაძარზე. ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში წარმოთქვა წმინდანმა თავისი ცნობილი საუბრები „ექვსთა დღეთა“ შესახებ“ (Hexaemeron), რომელშიც გამოყენებულია წმინდა ბასილი დიდის ამავე სახელწოდების ნაწარმოები.

388 წელს იმპერატრიცა იუსტინა გარდაიცვალა და იმპერიის დასავლეთ ნაწილის მმართველი გახდა მართლმადიდებელი იმპერატორი თეოდოსი დიდი, რომელმაც მთელი იმპერია გააერთიანა. თავდაპირველად მასსა და წმინდა ამბროსის შორის არცთუ მარტივი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამას ცხადყოფს ორი ისტორიული ეპიზოდი. 388 წლის დეკემბერში ქრისტიანებმა დაწვეს სინაგოგა სირიის ქალაქ კალინიკეში (ახლანდელი რაკა სირიაში). ამის გაგებისთანავე იმპერატორმა თეოდოსიმ უბრძანა იმავე ქალაქის ქრისტიანებს საკუთარი ხარჯებით აღედგინათ სინაგოგა. სავარაუდოდ, ეპისკოპოსი ამბროსი მიწვეული იყო მეფის კარზე როგორც მრჩეველი რელიგიურ საკითხებში [11]. მან დაუშვებლად მიიჩნია, რომ ქრისტიანებს ებრაული სინაგოგა აეშენებინათ, – შედეგადაც იმპერატორს თავისი ბრძანების გაუქმება მოუხდა. თუმცა, 393 წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც სინაგოგების დანგრევა მაინც იკრძალებოდა. როგორც ჩანს, ეპისკოპოსი ამბროსი არ იყო იმპერატორის კარზე სასურველი სტუმარი, იმის გამო, რომ არ ეთანხმებოდა იმპერატორ თეოდოსის ზოგიერთ შეხედულებას [12], მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი გამოდიოდა როგორც მართლმადიდებლობის დამცველი.

შემდეგი შეჯახება იმპერატორსა და ეპისკოპოსს შორის 390 წელს მოხდა, როდესაც თესალონიკში სახალხო მღელვარების დროს მოკლეს ილირიკის პროვინციის ჯარების სარდალი ბოტერიხი და რამდენიმე სხვა გოთი მხედართმთავარი. პასუხად, იმპერატორმა აჯანყების სასტიკად ჩახშობა ბრძანა, რის შედეგადაც დაიღვარა დაახლოებით 7 ათასი უდანაშაულო ადამიანის სისხლი. ამის გაგებისთანავე, წმინდა ამბროსიმ იმპერატორს მრისხანე წერილი მისწერა [13], სადაც აღნიშნა, რომ არ აზიარებდა მას, სანამ ის ამ დანაშაულს არ მოინანიებდა. წმინდა მღვდელთმთავარი თავის წერილში ჩამოთვლის ძველი აღთქმის მეფეებს, რომლებმაც შეინანეს და, უპირველეს ყოვლისა, მეფე და წინასწარმეტყველ დავითს. როდესაც წინასწარმეტყველი ნათანი დავითთან მიდიოდა და მის ცოდვას ამხელდა, დავითის პასუხი იყო: „მე შევცოდე უფლის წინაშე" (2 მეფ. 12:13). სინანულის შემდეგ მან შესწირა მსხვერპლი, ქრისტიანულ ეკლესიაში კი ასეთ მსხვერპლს მონანიება წარმოადგენს. მილანელი წმინდანის აზრით, სამეფო ღირსება მართლმადიდებელ მეფეს არ ათავისუფლებს ცოდვისგან, პირიქით, მეფის ცოდვის გამო მთელი სამეფო ისჯება. შესაბამისად, მხოლოდ მეფის სიმდაბლე თუ აღხოცავს მისი სახელმწიფოს ცოდვას [14]. როდესაც თეოდოსი მილანის საკათედრო ტაძარში მივიდა, წმინდა ამბროსიმ, რომელიც იქ მსახურობდა, არ დაუშვა იგი წმინდა ზიარებაზე, ვინაიდან, მისი აზრით, იმპერატორის საიდუმლო მონანიება არ იყო საკმარისი [15]. შედეგად, რამდენიმე თვის განმავლობაში იმპერატორი განყენებული იყო ეკლესიის ზიარებიდან და მხოლოდ 390 წლის შობაზე, მოიხსნა რა სამეფო ღირსების ნიშნები, იგი სინანულით მივიდა ტაძარში და პატიება გამოიევედრა მედიოლანელი წმინდა მღვდელთმთავრისგან [16].

393 წელს, წმინდა ამბროსის თავმჯდომარეობით, მედიოლანში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზეც დაიგმო ყოფილი ბერი იოვინიანის სწავლება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ქრისტიანული ასკეტიზმისა და უქორწინებლობის მნიშვნელობას. იმავე წელს, წმინდა ამბროსიმ გამოაქვეყნა წიგნი „ქალწულის აღზრდის

შესახებ“, რომელშიც მან არა მხოლოდ შეაქო ქალწულობის სათნოება და ღვთისადმი მსახურების ასკეტური გზა, არამედ უარყო ბონოზა სარდიკიელის სწავლება, რომელიც არ აღიარებდა ღვთისმშობლის მარადისქალწულობას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

395 წლის იანვარში იმპერატორი თეოდოსი გარდაიცვალა; სიკვდილის წინ მან თავის შვილებზე ზრუნვა წმინდა ამბროსის მიანდო [17]. საფლავზე მას წმინდა მღვდელთმთავარმა ზეშთაგონებული გამოსამშვიდობებელი სიტყვა მიუძღვნა, სადაც ხოტბა შეასხა მის მრავალრიცხოვან დამსახურებას ეკლესიის წინაშე.

სიცოცხლის ბოლო ორი წლის განმავლობაში, წმინდა ამბროსიმ ბევრი დრო გაატარა თავისთან მედიოლანის კათედრაზე, ძირითად ლიტერატურულ შრომას ეწეოდა და ნააზრევს თავის მდივანს – პავლინეს კანახობდა ჩასაწერად. 396 წელს, როდესაც ამბროსის წმინდა ცხოვრების შესახებ შეიტყო, მარკომანელთა გერმანული ტომის დედოფალმა ფრიტიგილამ ირწმუნა ქრისტე და მისი თხოვნით მილანელმა წმინდანმა შეადგინა მის მიმართ ეპისტოლე კატეხიზმოს ფორმით და შეაგონებდა მას და მის მეუღლეს, რომ დაეცვათ ქრისტიანული რწმენა და მშვიდობა ჰქონოდათ რომაელებთან [18] ...

წმინდა ამბროსი გარდაიცვალა 397 წლის 4 აპრილს, ვნების დიდ შაბათს, მას შემდეგ რაც მიიღო ზიარება ეპისკოპოს ჰონორე ვერცელელის ხელიდან. იგი დაკრძალეს მის მიერ მანამდე მოპოვებული წმ.წმ. მოწამეების გერვასისა და პროტასის წმინდა ნაწილების გვერდით იმ ბაზილიკაში, რომელიც დღეს მისი სახელით მოიხსენიება –Basilica Ambrosiana. მილანელი მღვდელთმთავრის თაყვანისცემა მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო, ხოლო 422 წელს უკვე გამოჩნდა მისი „ცხოვრება“, დაწერილი მისი მდივნის – პავლინის მიერ, რომელშიც აღწერილი იყო წმინდანის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ ასრულებული მრავალი სასწაული. ბიზანტიაში ამბროსის, როგორც წმინდანის, თაყვანისცემა დაფიქსირდა IX-X საუკუნეებში – დიდი ეკლესიის ტიპიკონში (Mateos. Typicon. T. 1. P. 124-125), სტუდიის წესდების რედაქციებსა და იერუსალიმის წესდების ადრეულ ასლებში, ასევე ბიზანტიური ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიული წიგნების უმეტესობაში. დასავლეთში წმინდა ამბროსის სახელს უკავშირდება მილანის ეკლესიის განსაკუთრებული ლიტურგიკული ტრადიციის წარმოშობა, რომელიც ცნობილია როგორც „ამბროსისეული რიტუალი" (ritus ambrosianus), ასევე სპეციალური გალობის ტრადიცია, რომელიც ცნობილია როგორც „ამბროსისეული (ანტიფონიური) გალობა“ (cantus ambrosianus).

ჩვენი გამოსვლის მეორე ნაწილში, თავს უფლებას მივცემთ ჩავუღრმავდეთ წმინდა ამბროსის საღვთისმეტყველო ნააზრევს და განვიხილავთ მის წვლილს ღვთისმშობლის მარადის ქალწულობის შესახებ ეკლესიის სწავლების გაცხადებაში. ამ სწავლების პირველ ათასწლეულში განვითარების შესახებ ჩვენ უფრო ვრცლად ვისაუბრეთ წიგნში „ღვთისმშობლის საიდუმლო", სადაც განვიხილეთ ბერძენი, ლათინი და სირიელი ეკლესიის მამების ნაშრომები, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საეკლესიო პოეზიისა და იკონოგრაფიის ნაწარმოებები [19].

წმინდა ამბროსის წვლილი ღვთისმშობლის მარადის ქალწულობის შესახებ ეკლესიის სწავლების ჩამოყალიბებაში

ერთ-ერთ წერილში წმინდა ამბროსი ეხება მოსაზრებას, რომ ქრისტეს შობის შემდეგ მარიამი დაქორწინდა იოსებთან და მისგან შეეძინა „იესოს ძმები“. ეს აზრი გამოთქვა სარდიკიის ეპისკოპოსმა ბონოზამ. ეს საკითხი განიხილებოდა კაპუას კრებაზე, სადაც ბონოზა განკვეთეს. ამბროსი თავის ერთ-ერთ წერილში კომენტარს აკეთებს ამ მოვლენასთან დაკავშირებით, სამართლიანად აღიარებს ხარისხიდან მის განკვეთას და იცავს მარიამის მარადის ქალწულობის შესახებ სწავლებას:

რასაკვირველია, არ შეიძლება სასჯელის სამართლიანობის უარყოფა, და სამართლიანია თქვენი სიწმინდის აღშფოთება იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ქალწულის საშოდან, საიდანაც ქრისტე ხორციელად დაიბადა, სხვა დაბადებაც მოხდა! უფალი იესო არ აირჩევდა ქალწულისგან დაბადებას, თუ იფიქრებდა, რომ ის იმდენად თავშეუკავებელი აღმოჩნდებოდა, რომ კაცის თესლით შებილწავდა უფლის სხეულის საქორწილო დარბაზს, მარადიული მეუფის ამ სასახლეს. ვინც ამას ამტკიცებს, ის მხოლოდ იმეორებს ებრაელთა უწმინდურებას, რომლებიც ამბობენ, რომ ის ვერ დაიბადებოდა ქალწულისგან. თუკი ეპისკოპოსები დაიწყებენ ამის მტკიცებას და ჩათვლიან, რომ მარიამმა ბევრჯერ შვა, მაშინ იუდეველები კიდევ უფრო გამეტებით დაუპირისპირდებიან სარწმუნოების ჭეშმარიტებას [20].

წერილში ამბროსი მხოლოდ მოკლედ უარყოფს ბონოზას აზრს, – იმოწმებს რა იოანეს სახარებიდან ეპიზოდს, სადაც ჯვარზე მომაკვდავი იესო დედას ანდობს თავის საყვარელ მოწაფეს (ინ. 19:24-27): „რისთვისაა ეს ნათქვამი, თუ არა იმისთვის, რომ უწმინდურებას მატყუარა ბაგეები დაეხშოს, რომ დამუნჯდეს, ვინც ბრალდებას გაბედავს უფლის მშობელზე? მოწმე – ის არის მსაჯულიც და დამცველიც დედის უბიწოებისა, რომ ის მხოლოდ დაწინდული იყო იოსებზე, მაგრამ არ შეუცნია ცოლ-ქმრული ურთიერთობა”. როგორც ამბროსი ხაზს უსვამს, „თუ მას შვილები უნდა შესძენოდა იოსებისგან, მაშინ უფალი არ მოისურვებდა მისი განშორებას ცოლ-ქმრული ურთიერთობისგან“ [21].

ბევრად უფრო დეტალურად და საფუძვლიანად ამბროსი უარყოფს ბონოზას აზრს თხზულებაში „ქალწულის აღზრდისა და წმინდა მარიამის მარადქალწულობის შესახებ“. აქ ამბროსი შორიდან იწყებს: ადამისა და ევას დაცემაზე ფიქრებით. ამაში, მისი აზრით, ორივე წინაპარი არის დამნაშავე, მაგრამ „ჩვენ ძირითადად მხოლოდ ქალის სქესს ვადანაშაულებთ, რადგან მან გამოიწვია ცოდვის მიზეზი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ ასეთი საყვედური, საკუთრივ, ბევრად უფრო სამართლიანი იქნებოდა თავად ჩვენთან მიმართებით“ [22]. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქალმა შესცოდა. მაგრამ „ქალს აქვს ცოდვაში საპატიებელი, კაცს – არა. ის, – როგორც წმინდა წერილი ამბობს, – მოატყუა გველმა, ქმნილებათა შორის ყველაზე ბრძენმა, შენ კი – ქალმა; ის მოატყუა უმაღლესმა ქმნილებამ, შენ კი – უმდაბლესმა“ [23].

ამბროსი ძველი აღთქმის მართალი ქალების, სარასა და მარიამის მაგალითზე აღტაცებით ამბობს: „აი, მოვიდა ევა, ახლა უკვე მარიამად, რომელმაც გვიბოძა ჩვენ არა მხოლოდ ქალწულობის საფუძველი, არამედ – ღმერთიც. ასეთი ძღვენით გახარებული ესაია ამბობს: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ეს. 7:14), „რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი“ (მთ. 1:23). საიდან მოდის ეს ძღვენი? მიწიდან არა, – რა თქმა უნდა, – ზეციდან აირჩია ქრისტემ თავისთვის ეს

ჭურჭელი მიწაზე შთამოსასვლელად, და აკურთხა უბიწოების ტაძარი. ერთის მეშვეობით მოგვევლინა უფალი, მაგრამ მოუწოდა მრავალს... ასე რომ, მშვენიერია მარიამი, რომელმაც წარმოადგინა წმინდა ქალწულობის ხატი და ქრისტეს საყდრამდე აღმართა შეუბღალავი უბიწოების წმინდა ბაირაღი "[24].

განიხილავს რა იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც უარყოფენ, რომ მარიამი ქრისტეს შობის შემდეგ ქალწულად ჰგიებს, ამბროსი მას „უდიდეს მკრეხელობას" უწოდებს და შენიშნავს, რომ „ერთი ეპისკოპოსი მხილებულიც კი იყო ამ ცდომილებაში" [25].

შემდეგ ის იკვლევს ახალი აღთქმის იმ მონაკვეთებს, სადაც მარიამი „დედაკაცად" არის წოდებული. ლათინურ ენაში სიტყვა mulier აღნიშნავს ახალგაზრდა ქალსაც და გათხოვილსაც. ამ სიტყვის ანტონიმი არის სიტყვა virgo („ქალწული").

ახალი აღთქმის ლათინური თარგმანის მკითხველთათვის მარიამის მისამართით სიტყვა mulier-ის გამოყენება დააბნევდათ. რუსულ სინოდალურ თარგმანში აღნიშნულ ადგილებში გამოყენებულია სიტყვა «жена», დედაკაცი, რომელიც სლავური ენიდან არის აღებული და მოწიფული, როგორც წესი, გათხოვილი ქალის მნიშვნელობით იხმარება, ქალწულისგან („дева") განსხვავებით. ასეთი ადგილი ამბროსიმ ორი იპოვა: ქრისტეს შეკითხვა: „რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო?" (ინ. 2:4), როდესაც ის დედას მიმართავს გალილეის კანაში ქორწილის დროს, და პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი შჯულსა ქუეშე" (გალ. 4:4). ამბროსი შენიშნავს: „რატომ უნდა დაგვაბრკოლოს სიტყვამ „დედაკაცი"? ის სქესის სახელია, სქესს აღნიშნავს და არა უბიწოების არქონას. სიტყვის ხალხური გამოყენება კი ჭეშმარიტების წინაპირობა არ არის. და დასძენს, რომ ევას ადამის ნეკნიდან შექმნის შესახებ მონათხრობშიც ის დედაკაცად იწოდება, თუმცა ჯერ არ ექორწინა მასთან" **[26]**.

პირველი დაბრკოლების ამგვარად აღმოფხვრის შემდეგ ამბროსი შემდეგზე გადადის - სახარების ტექსტებზე, რომლებმაც შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს მარიამმა ქრისტეს შობის შემდეგ იოსებთან იქორწინა. ამგვარი ტექსტი მან სამი მოიძია: „ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა" (მთ. 1:25); „და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ" (მთ; 1:25); „არა უნდა განმხილებაჲ მისი" (მთ. 1:19). მათეს სახარების ამ ადგილებთან დაკავშირებით ამბროსი აღნიშნავს: „მაგრამ წმინდა წერილის წესი ასეთია, ის მთავარ აზრს გვიხსნის, თანმდევ აზრებს კი განმარტების გარეშე ტოვებს" **[27]**. და ძველი აღთქმის ტექსტებიდან მოჰყავს მაგალითები, რომლებშიც სიტყვა „ვიდრე" არ ნიშნავს მოქმედების შეწყვეტას მას შემდეგ, რაც რაღაც უკვე მოხდა: „ვიდრე სიბერემდე: მე ვარ და ვიდრემდის და-ცა-ჰბერდეთ" (ეს. 46:4) „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა" (ფს. 109:1). ნუთუ, გვეკითხება ამბროსი, ღმერთი აღარ იარსებებს მას შემდეგ, რაც დაბერდებიან ისინი, ვისაც იგი მიმართავს? და ნუთუ წარმართთა მოქცევის შემდეგ ძე ღვთისა აღარ იჯდება მარჯვენით მამისა? **[28]**.

იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც „იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი", ამბროსი შენიშნავს: „ანგელოზებმაც კი არ იცოდნენ მარიამის ქალწულების საიდუმლო, და იოსებს როგორ უნდა სცოდნოდა?" **[29]**

მაგრამ იგი „ფიქრობდა, გაეშვა ის როგორც დამნაშავე, ვიდრე არ მიიღო გამოცხადება ანგელოზისგან“. ხოლო როცა მიიღო გამოცხადება, მაშინ უარი თქვა ამ განზრახვაზე „აბსოლუტურად დარწმუნებულმა მის ქალწულობაში“ **[30]**.

სიტყვები იმის შესახებ, რომ იოსებმა „წარიყვანა ცოლი თჳსი“ (მთ. 1:24), ამბროსი გვთავაზობს ეს იმ აზრით გავიგოთ, რომ მარიამი დაწინდული იყო იოსებზე, „ხოლო ის, ვინც დაწინდულია ქმართან, ცოლად იწოდება. ქორწინება დასაწყისიდანვე ცოლქმრობად იწოდება, და მას არა ქალწულობის დაკარგვა განაპირობებს, არამედ საქორწინო ხელშეკრულება“ **[31]** იოსებთან დაწინდვა კი „იმიტომ მოხდა, რომ მათ, ვინც მარიამს მიდგომილად იხილავდა, ეს არა ქალწულის შეცოდებად, არამედ კანონიერ მდგომარეობად ჩაეთვალა. ღვთის ნება ასეთი იყო, რომ ხალხს უმალ უფლის წარმოშობაში შეეტანა ეჭვი, ვიდრე მისი დედის უბიწოებაში“ **[32]**.

„ქრისტეს ძმების“ საკითხის დეტალურ განხილვას ამბროსი თავს არიდებს: „ძმებად კი, როგორც თავად უფალი გვასწავლის, იწოდება კრებული – ტომი, მოდგმა, ხალხი. ამასთან შესაძლოა ყოფილიყვნენ ძმები იოსებისგან და არა მარიამისგან. და ამას ნებისმიერი დაეთანხმება, თუკი გულდასმით გამოიკვლევს ამ საკითხს. ჩვენ კი არ ჩავთვალეთ საჭიროდ მისი გამოკვლევა, რადგან სიტყვა „ძმა“ ძალიან ბევრ ზოგად ცნებას მოიცავს“ **[33]**.

გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ამბროსის მარიამის ქალწულების საღვთისმეტყველო გააზრება უფლის განკაცების შესახებ სწავლების კონტექსტში. მარიამი ვერანაირად ვერ იქნებოდა ღვთის დედა – რომ არა ქალწული, – ამტკიცებს ამბროსი:

„საკითხავია, განა უფალი იესო ქრისტე ისეთ დედას აირჩევდა, რომელსაც შეეძლო მამაკაცის თესლით შეერყვნა ზეციური სავანე, დედა, რომლისთვისაც ქალწულებრივი უმანკოების შენახვა შეუძლებელი იქნებოდა? მისი მიბაძვით მოწოდებულნი არიან უმანკოების დასაცავად სხვა ქალწულები, და ნუთუ თავად არ აღასრულებდა იმ ღვაწლს, რომელიც მის მიერ სხვებისთვის არის შეთავაზებული? და ვის თუ არა დედას თვისას, მიმადლებდა ასეთ დამსახურებას და განუმზადებდა ჯილდოს? წმინდა წერილი გვასწავლის, რომ სხვა არცერთი ღვაწლისთვის არ აქვს გამზადებული უფალს ისეთი უხვი ჯილდო, როგორც ქალწულობისათვის. შეუძლებელია, რომ იმას, ვინც ღმერთი იტვირთა, ადამიანის მუცლადღება განეზრახა; და იოსებიც, მართალი ადამიანი, ვერ გადაცდებოდა გონს იმდენად, რომ ხორციელი კავშირი დაემყარებინა ღვთის დედასთან“ **[34]**.

შემდეგ ამბროსის მაგალითად მოყავს ის ეპიზოდი, როდესაც ჯვარცმული მაცხოვარი სიკვდილის წინ თავის დედას თავის საყვარელ მოწაფეს აბარებს. „საკითხავია როგორ წაართმევდა ის ქმარს ცოლს, მარიამი რომ ქორწინებით ყოფილიყო იოსებთან შეკრული, ან მას რომ ცოლქმრული სარეცელი შეეცნო?“ **[35]**

აბარებს რა მის თავს საყვარელ მოწაფეს, მაცხოვარი ავალებს მას მისი უბიწოების და ქალწულობის

დაცვას: „უფალი იესო... ჯვარცმული უანდერძებს თავის მონაფეს, რომ დედა დაცული იყოს შეგინებისგან. იოანე თავს იდებს ქრისტეს ამ ანდერძის შესრულებას. მას უანდერძეს დედის სიწმინდის დაცვა, მისი უბიწოების დასტურის დაცვა და მონაფეს ევალება ასევე მოუფრთხილდეს და სათუთად უყვარდეს იგი. „და მიერითგან წარიყვანა იგი მონაფემან მან თჳსთა თანა“ (ინ. 19:27). რა თქმა უნდა, ქრისტეს არ დაურღვევია ქორწინება, მარიამს არ მიუტოვებია ქმარი. და ვისთან უნდა დაედო მარადის ქალწულს ბინა თუ არა მასთან, ვინც ცნობილი იყო მისთვის, როგორც მისი ძის მემკვიდრე და უბიწოების ქომაგი?“ **[36]**

ჯვარცმასთან დედის მდგომარეობას ამბროსი გულშიჩამწვდომად და ამაღლებულად აღწერს, ადარებს რა მის ქცევას ქრისტეს მონაფეთა ქცევას და დარწმუნებულია იმაში, რომ მან იცოდა მისი სიკვდილის გამომხსნელი ხასიათისა და მისი აღდგომის შესახებ:

„დედა ჯვრის წინ იდგა და იდგა უშიშრად, ხოლო მამაკაცები გაიქცნენ. შეხედეთ: შეეძლო იესოს დედას, რომელსაც სულის განწყობა არ შეუცვლია, ეღალატა თავისი უბიწოებისთვის? კეთილკრძალული თვალებით შესცქეროდა იგი თავისი ძის ჭრილობებს, რომლის მეშვეობითაც, როგორც მან იცოდა, ყოველთა გამოსყიდვა უნდა მომხდარიყო. დედა იდგა და უყურებდა თავის ღვიძლ შვილს, მკვლელების არ ეშინოდა. ძე ჯვარზე იყო გაკრული, დედა კი დევნის საფრთხეში იგდებდა თავს. თუკი მას ამავე დროს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა – მომკვდარიყო შვილზე ადრე, მაშინ მსგავსი ღვთისმოსავი გრძნობა ქების ღირსია; თუ მას სურდა ძესთან ერთად სიკვდილი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მას სურდა მასთან ერთად აღდგომა და იცოდა საიდუმლო, რომ მან შვა ის, ვინც აღდგება. ამავე დროს, მან იცოდა, რომ ძის სიკვდილი ხორციელდებოდა საერთო გამოხსნისათვის და ამიტომ ელოდებოდა: თავისი სიკვდილიც რამეს ხომ არ შეჰმატებდა ამ საერთო საქმეს. მაგრამ ქრისტეს ვნებები დახმარებას არ საჭიროებდა ... ” [37]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებს რა ღვთისმშობლის ზნეობრივ ღვაწლს, გამოხატულს მისი უშიშარი დგომით იესოს ჯვართან, ამბროსი ხაზს უსვამს, რომ ეს დგომა ვერაფერს დაამატებდა ქრისტეს გამომსყიდველ ღვაწლს“. ეს იდეა საინტერესოა დასავლური მარიოლოგიის შემდგომი განვითარების ჭრილში, სადაც მარიამის, როგორც „თანაგამომსყიდველის“ იდეა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ამბროსი, როგორც ვხედავთ, არ მოიაზრებს მარიამს, როგორც თანაგამომსყიდველს, და ხაზს უსვამს ქრისტეს მიერ ვინმეს დახმარების გარეშე აღსრულებული გამოსყიდვის უნიკალურობასა და ერთადერთობას, რომელიც განხორციელდა ყოველგვარი ადამიანური დახმარების გარეშე.

მარიამს იმდენი მადლი ჰქონდა, – განაგრძობს ამბროსი, – რომ მას „შეეძლო გამოეწვია უბიწოების გამოვლენა მათშიც კი, ვისაც ის უმზერდა". როდესაც იოანე ნათლისმცემელი, რომელიც ჯერ კიდევ ელისაბედის წიაღში იმყოფებოდა, მისი ხმის გაგონებაზე მუცელში შეიძრა (ლუკა 1:41), „და ამით მორჩილება გამოავლინა ჯერ კიდევ დაბადებამდე. უმიზეზოდ არ დარჩენილა სხეულით უბიწო ის, ვინც თავისი დასწრების ზეთითა და უბიწოების კეთილსურნელებით მოამზადა ამისათვის ღვთისმშობელმა, როდესაც ის სამი თვის ასაკისა იყო“. არც ღვთისმშობელი გადასცემია საზრუნავად სხვა იოანეს, არამედ იმას, რომელმაც ასევე „არ იცოდა ქორწინება“ [38].

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში დაკეტილი კარიბჭის შესახებ ნათქვამში, რომელსაც უფალი გამოივლის (ეზეკ. 44: 1-3), ამბროსი ქალწულ მარიამის წინასახეს ხედავს:

„კარიბჭე ჩაკეტილია, რადგან ის – ქალწულია. ამრიგად, კარიბჭე ნიშნავს მარიამს, რომლის მეშვეობითაც ქრისტე ამ სამყაროში შემოვიდა და მოგვევლინა ქალწულისგან შობილი ისე, რომ ქალწულობის კლიტე არ დაუზიანებია. როდესაც ქალწულისგან გამოდიოდა ის, ვისი დიდების დატევნა მთელ სამყაროსაც კი არ შეეძლო, უბიწოების ზღუდე დაუზიანებელი დარჩა და უმანკოების ნიშნები – დაურღვეველი“[39].

იგივე განმარტებას ვხვდებით წმინდა ამფილოქე იკონიელთანაც, რაც მოწმობს მარიოლოგიის პარალელურ განვითარებაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთში. აქაც და იქაც ერთსა და იმავე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი გამოიყენებოდა ღვთისმშობელთან მიმართებით.

თუმცა, ამბროსი არ ჩერდება დაკეტილი კარიბჭის სახენიმუშზე (на образе), არამედ უფრო შორს მიდის და ძველ აღთქმაში სულ ახალ და ახალ წინასახეებს პოულობს მარიამის ქალწულობის ასაღწერად:

„ჰოი, მარიამის ქალწულობის სიმდიდრე! ის გავარვარდა როგორც თიხის ჭურჭელი და ღრუბელივით გადმოღვარა ქრისტეს მადლი დედამიწაზე! ეს ხომ მის შესახებაა დაწერილი: „აჰა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სუბუქსა" (ეს. 19:1). ჭეშმარიტად – მსუბუქი, რადგან მან არ იცოდა ქორწინების ტვირთი; ჭეშმარიტად – მსუბუქი, რადგან მან ეს სამყარო შეამსუბუქა მძიმე ცოდვითი ნაზარდებისგან ... მიჰყევით ამ კეთილ ღრუბელს – თავისგან რომ წარმოშვა წყარომ, რომელმაც მთელი სამყარო მორწყა. მიიღეთ კეთილგანწყობის წვიმა, კურთხევის წვიმა, – უფლის მიერ თავის სამემკვიდრეოზე გადმოღვრილი. მიიღეთ წყალი და გააჩერეთ ის თქვენში; არის რა ღრუბელი, [მარიამი] დაე, განგბანოთ და მოგრწყოთ წმინდა ტენით; არის რა თიხის ჭურჭელი, დაე, გაგათბოთ თქვენ მარადიული სულის მოფენით... „ნელსაცხელებელ წარმოცარიელებულ სახელი შენი, ამისთჳსცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ“ (ქებ. ქება 1:2). დაე, ამ მირონმა შეაღწიოს გულის სიღრმეში და სულის წიაღის საიდუმლოებებში; ამ მირონის მეშვეობით წმიდა მარიამი კეთილსურნელებას აფრქვევდა არა ამქვეყნიური მშვენიერებით, არამედ ღვთაებრივი მადლის სუნთქვით. ამ წვიმამ ჩააქრო ევას ვნებები; ამ მირონმა მემკვიდრეობითი ცოდვის სიმყრალე გაანადგურა; ამ მირონით მარიამმა, ლაზარეს დამ, უფალს ფეხები დაბანა და მთელ სახლში ნელსაცხებლის სუნი დაატრიალდა – სახლი ღვთისმოსაობის კეთილსურნელებით აივსო (ინ. 12:3)“ [40].

სოლომონის წიგნში, „ქებათა ქება“, წმინდა ამბროსიმ მდიდარი მასალა იპოვა ქალწულ მარიამის სათნოებებისა და ღირსებების გამოსახატავად. იგი ყურაღებას მიაპყრობს სიტყვებს: „რაჲსა განშუენდეს კუალნი შენნი საჴამლობითა, ასულო ამინადიბისო“ (ქებ. ქება 7:2) და მათ ასე განმარტავს: „მარიამი მშვენივრად დადიოდა ამ ხალმებში: იმან ყოველგვარი ხორციელი შეუღლების გარეშე შვა ცხონების მიზეზი“ **[41]**.

შემდეგ ის განმარტავს სიტყვებს: „უპე შენი - ტაკუკ წახნაგებულ, არამოკლებულ ზავებულისაგან; მუცელი შენი - ხუავი იფქლისაჲ, მოკრძალული შროშნითა“ (ქებ. ქება 7:3). შეყვარებულის სახე „ქებათა ქებაში“ ტრადიციულად გაიგებოდა როგორც ეკლესიის სიმბოლო, თუმცა წმ. ამბროსი მიიჩნევს, რომ „ეკლესიის ხატის ქვეშ იგულისხმება წინასწარმეტყველება მარიამის შესახებ; რა თქმა უნდა, თუკი შენ ყურადღებას მიაქცევ არა სხეულის წევრებს, არამედ მის დაბადების საიდუმლოებს ”[42], და განმარტავს: „ეს ნიშნავს, რომ ქალწულისგან ქრისტეს შობამ, რომელიც ყველას ეხება, შეამსუბუქა ჩვენი უღელი და დააგვირგვინა მორწმუნეთა კისრები სათნოებების ნიშნებით მსგავსად იმისა, როგორც საერო ბრძოლებში

გამარჯვებულნი უმკობენ კისერს მოღვაწე კაცებს მათ მიერ მისთვის ბოძებული მძივებით. მართლაც, ამ მარიამის მუცელი – მრგვალი თასია, რომელშიც ყოვლადსიბრძნემ გახსნა თავისი ღვინო, – თანაშეეწია რა თავისი საღვთო ცოდნის მოუკლებელი მადლის საღვთო სავსებით. ამ ქალწულებრივ მუცელში ამასთანავე იყო ხორბლის თავთავების კონა, ასევე იზრდებოდა მშვენიერი ფერის შროშანი... ქრისტე იყო სწორედ შროშანი სარეველებს შორის, როდესაც იუდეველებში იმყოფებოდა... ამრიგად, მარიამის ამ მუცლიდან სამყაროში გადმოიღვარა შროშანებით გარშემორტყმული ხორბლის თავთავები; ეს მაშინ მოხდა, როდესაც მისგან ქრისტე იშვა...“ **[43]**.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეძრა სარდიკიელი ბონოზას შეხედულებამ წმინდა ამბროსის საღვთისმეტყველო აზრი და გახდა საბაბი ქალწულობის შესახებ ტრაქტატის დაწერისა, სადაც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ღვთისმშობლის მარადის ქალწულობაზე სწავლების დაცვას. ზენონ ვერონელის კვალად, ამბროსი ამტკიცებს, რომ მარიამი იყო ქალწული ქრისტეს შობამდე, ქალწული იყო შობის დროსაც და ქალწულად დარჩა მისი შობის შემდეგაც.

წმინდა ამბროსის მიერ გამოსახული ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის, უფლის მშობლის, სახე და მის მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტები ეკლესიის სწავლების სასარგებლოდ მისი ქალწულობის შესახებ, შემდგომში მიღებული და განვითარებული იქნა ისეთი დასავლური საღვთისმეტყველო ტრადიციების წარმომადგენლების მიერ, როგორებიცაა ნეტარი იერონიმე, ავგუსტინე, ილდეფონს ტოლედსკი, ჰუგო სენ-ვიქტორსკი და სხვები, რომლებმაც განავითარეს ეს სწავლება პარალელურად მის განვითარრებასთან ერთად ბიზანტიურ ტრადიციაში.

---

[1] ბრძანებულება, წმ. ამბროსი მედიოლანელის „ეკლესიის დიდ მოძღვრად“ აღიარების შესახებ, გამოსცა პაპმა ბონიფანტე VIII 1298 წ.

[2] მართლმადიდებელ ეკლესიაში მედიოლანელი წმინდა მღვდელთმთავრის ხსენება აღინიშნება 7 (20) დეკემბერს.

[3] როგორც თანამედროვე მეცნიერები მიიჩნევენ, მშვენიერი ჰიმნის ავტორი, სავარაუდოდ, შეიძლება ყოფილიყო წმ. ამბროსისი უმცროსი თანამედროვე ნიკიტა – რემესიანის ეპისკოპოსი; იხ.: Patrology. The Golden Age of Latin Patristic Literature. From the Council of Nicea to the Council of Chalcedon / Ed. A. di Berardino. Westminster (MD.), 1986. Vol. 4. P. 180; Early Christian Greek and Latin Literature / Ed. C. Moreschini, E. Norelli. Peabody (Mass.), 2005. Vol. 2. P. 291.

[4] Свт. Амвросий Медиоланский. Увещание к девству XII, 82.

[5] Руфин Аквилейский. Церковная история II, 11. см. также: Блаженный Феодорит. Церковная история 4, 7.

[6] Житие св. Амвросия Медиоланского 6, 1–2. Ср.: Блаженный Феодорит. Церковная история 4, 7.

[7] Житие 9, 1–3. Ср.: Блаженный Феодорит. Церковная история 4, 7.

[8] Амвросий Медиоланский. Об обязанностях священнослужителей.

[9] Блаженный Августин. Исповедь V, 13, 23 – 14, 24.

[10] Блаженный Августин. Исповедь, VI, 4, 6.

[11] McLynn N. Ambrose of Milan. Church and Court in a Christian Capital. 2014. P. 302.

[12] Zeltzer M. Chronologie. S. 90. Ср.: Амвросий Медиоланский. Послание 11/51, 2.

[13] Амвросий Медиоланский. Послание 11/51.

[14] Амвросий Медиоланский. Послание 11/51.7-11. შემდგომში წმინდა ამბროსიმ მთელი ტრაქტატი მიუძღვნა დავით წინასწარნეტყველის მონანიების თემას – „დავით წინასწარმეტყველის აპოლოგია“.

[15] Созомен. Церковная история VII, 25.

[16] Житие, 24, 3; Блаженный Феодорит. Церковная история V, 17.

[17] Житие, 32, 1.

[18] Житие 35, 1–2.

[19] См.: Иларион (Алфеев), митрополит. Тайна Богоматери. Истоки и история почитания Приснодевы Марии в первом тысячелетии. М.: Познание, 2021.

[20] Амвросий Медиоланский. Письмо 71, О епископе Бонозе, 3.

[21] Амвросий Медиоланский. Письмо 71, О епископе Бонозе, 4.

[22] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 16 (PL 16, 309 C).

[23] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 25 (PL 16, 311 BC).

[24] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 33–35 (PL 16, 313 B–314 A).

[25] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 35 (PL 16, 314 B).

[26] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 36 (PL 16, 315 AB).

[27] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 37 (PL 16, 315 B).

[28] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 38 (PL 16, 315 BC).

[29] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 39 (PL 16, 315 C–316 B).

[30] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 40 (PL 16, 316 B).

[31] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 41 (PL 16, 316 BC).

[32] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 42 (PL 16, 316 C).

[33] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 43 (PL 16, 317 A).

[34] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 44–45 (PL 16, 317 AC).

[35] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 47 (PL 16, 318 AB).

[36] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 48 (PL 16, 318 BC).

[37] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 49 (PL 16, 318 C–319 A).

[38] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 50 (PL 16, 319

AB).

[39] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 52 (PL 16, 320 A).

[40] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 81–84 (PL 16, 325 AC).

[41] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 88 (PL 16, 326 BC).

[42] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 89 (PL 16, 326 C).

[43] Амвросий Медиоланский. О воспитании девы и приснодевстве святой Марии 89–94 (PL 16, 326 C–327 D).

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88167/